# დონე - ნულოვანი (საანბანე)

| N | თემა:<br>ასო/ბგერა | ძირითადი<br>ლექსიკა | ფრაზები | შენიშვნა<br>(გამოყენებული<br>სახელმძღვანელოები) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ხმოვნები - ა, ი.<br>თანხმოვანი - მ | აი, ია, მაია, მამა | აი ია, აი მამა, აი მაია, მიმი, აი მიმი... | 1. დედაენა, ბაკურ სულაკაური, მარინე ბედოშვილი, თინათინ კუხიანიძე, (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)<br>2. პრაქტიკული სავარჯიშოების კრებული ქართული ენის შემსწავლელთათვის, [http://tpdc.ge/geo/support-program-for-non-georgian-language-schools/68](http://tpdc.ge/geo/support-program-for-non-georgian-language-schools/68) |
| 2 | ხმოვნები - ე, ო.<br>თანხმოვანი - ს | ეს, ის, სამი, მე,<br>ასო, | აი მაიას მამა. ეს მაიას მამაა. ეს მიმია. ეს მაიას მიმია.<br>აი ასო. აი სამი ასო. | |
| 3 | ხმოვანი - უ<br>თანხმოვანი - თ | თმა, უთო, თითი,<br>ათი, თეა...<br>საათი. | ათი თითი. აი ათი თითი. აი უთო. აი თმა. ეს თეას უთოა. აი საათი. | |
| 4 | თანხმოვნები - დ, ჩ | დედა, და, დიდი,<br>სად?<br>ჩემი<br>დედაჩემი, მამაჩემი<br>ჩაი<br>დეიდა, მამიდა | აი დედა. ეს მაიას დაა. ეს დედაა. მოდი. დიდი. დიდი საათი. ეს დიდი საათია. ეს თეას დაა. თეას და დიდია. მამა, დედა სადაა? მიმი სადაა? დეიდა დედას დაა. აი, ჩემი და. ეს ჩემი დეიდაა.<br>ეს არის ჩაი. ეს ჩემი ჩაია. ეს ჩემი მამიდაა. მაია მიდის, მაია მოდის. | |

©ყველა უფლება დაცულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 5 | თანხმოვნები - ვ, რ | ვარდი,<br>ვარ, თავი,<br>დათვი, ვირი,<br>ირემი.<br>ვისი? ვისია?<br>ერთი, ორი, სამი. | მე ვარ. ეს არის მაია. ეს არის თეა. ეს არის დათვი.<br>ეს არის დიდი დათვი. ეს ირემია. ეს ვირია.<br>მე ვარ ... .<br>ეს ვისია? - ეს მაიას ვარდია. | |
| 6 | თანხმოვნები - ნ, შ | ნანა, ნინო, ნათია,<br>თამთა, ჩანთა,<br>ნავი, ნოე, თეთრი,<br>შავი, | ჩემი ჩანთა. ეს ჩემი ჩანთაა. ეს სათამაშოა. ეს შენი სათამაშოა? არა, ეს არ არის ჩემი სათამაშო.<br>ეს არის ჩემი ჩანთა. ეს შენი ჩანთაა? ეს შენია? არა, ეს არ არის ჩემი ჩანთა, ეს ნათიას ჩანთაა. ეს ჩანთა თეთრია, ის ჩანთა შავია. | |
| 7 | თანხმოვნები - ბ, ხ | ხე, ბურთი, ოთხი,<br>ხუთი,<br>ოთახი, ბებია,<br>ბაბუა,<br>ჩემი, შენი, ჩვენი,<br>ხე - ხეები.<br>ბურთი - ბურთები. | ეს ჩემი ბურთია, ეს არის შენი ჩანთა. ეს არის მისი ოთახი. ეს ანას სათამაშოებია. ეს ჩემი სათამაშოებია. ეს ჩვენი სათამაშოებია. ბურთი - ბურთები. ჩანთა - ჩანთები. ხე - ხეები. სახლი - სახლები, ოთახი - ოთახები. ეს ჩვენი ოთახია. ეს არის მაიას ოთახი. | |
| 8 | თანხმოვნები - კ, ლ | კალამი, რვეული,<br>სკოლა, | ეს ჩემი რვეულია. ეს შენი კალამია. ეს დიდი სკოლაა. ეს შავი შოკოლადია.<br>სამი ვაშლი. | |

©ყველა უფლება დაცულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | შარვალი, კაბა,<br>შოკოლადი,<br>ვაშლი, სოკო,<br>კუ, ლომი, ლეკვი,<br>მელია, მამალი,<br>სარკე, სკამი, კარი,<br>სახლი, | ეს ჩემი შარვალია. ეს ანას კაბაა. ანას კაბა თეთრია.<br>ეს არის ჩვენი სახლი. ეს სარკეა. ეს არის დედას<br>სარკე. ეს არის ჩემი ლეკვი. | |
| 9 | თანხმოვნები - ზ, ღ | ზღვა, ღრუბელი,<br>მზე, ეზო, ღობე,<br>ღორი, ზღარბი,<br>ზებრა, ღამურა,<br>ზარი,<br>ღამე, დღე, საღამო,<br>ღილი,<br>ღიმილი, ლამაზი.<br>ახლა, | აი ზღარბი. ეს არის დიდი ზღარბი. ეს ღორია. ეს<br>ზებრაა. ზებრა ზოლიანია.<br>ეს არის ღამურა. ღამურა შავია.<br>აი მზე. ღრუბელი თეთრია.<br>ეს არის შავი ზღვა.<br>დილა მშვიდობისა! ახლა დღეა. ახლა საღამოა.<br>ახლა ღამეა.<br>ანა ლამაზია. ეს ანას კაბაა. ანას კაბა ლამაზია.<br>ეს წითელი ღილია, ეს მწვანე ღილია. ფერადი<br>ღილები. | |
| 10 | თანხმოვნები - გ, ფ | გოგო,<br>გემი, | ეს არის გოგო. მისი სახელია სალომე. სალომე<br>ლამაზია. სალომე კარგი გოგოა. | |

©ყველა უფლება დაცულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ფეხი, ხელი, სახე,<br>ფაფა,<br>ფოთოლი, გოგრა.<br>ფული, საფულე,<br>კარგი, გემრიელი,<br>სახელი და გვარი, | ეს არის გიორგი, მისი გვარია აბაშიძე.<br>ფაფა გემრიელია.<br>შოკოლადი გემრიელია.<br>ეს არის დედას საფულე. | |
| 11 | თანხმოვნები - პ, ტ | ტიტა, პატარა,<br>ფუტკარი, პეპელა,<br>პინგვინი,<br>პირი,<br>ფოტო, | პატარა პეპელა. ეს პეპელა ლამაზია. ეს ფუტკარია.<br>ფუტკარი პატარაა.<br>ეს ფოტო ლამაზია. | |
| 12 | თანხმოვნები - ჟ, ჰ | ჟირაფი,<br>ჟურნალი,<br>ჟაკეტი.<br>ჰამაკი.<br>ჟოლო. | ეს არის ჟირაფი. ჟირაფი დიდია. ეს არის ჟირაფი ჟოზე. ის აროს ჟირაფი ჟოზეფინა. ჟირაფი ტყეშია.<br>ეს ჩემი ჟაკეტია. ეს ვისი ჟაკეტია? ეს ჟურნალია. ეს ჰამაკია. ეს ჰამაკი დიდია.<br>ეს ჟოლოა. ჟილო გემრიელია. | |
| 13 | თანხმოვნები - ყ | ბაყაყი, ტყე,<br>ყვითელი,<br>ყვავილი,<br>მიყვარს,<br>სიყვარული, | ბაყაყი. ეს ბაყაყია. ეს დიდი ბაყაყია. ბაყაყი მწვანეა.<br>ჟირაფი ტყეშია.<br>ნაყინი გემრიელია. ეს გამყიდველია. გამყიდველი ნაყინს ყიდის. | |

©ყველა უფლება დაცულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ყელი, ყური,<br>ყველი, ნაყინი,<br>გამყიდველი,<br>ყიდის. | რომელი ნაყინი გინდა? - მე მინდა შოკოლადის ნაყინი. შოკოლადის ნაყინი გემრიელია.<br>მე მიყვარს დედა და მამა, მე მიყვარს ჩემი და. | |
| 14 | თანხმოვნები - ქ, ც | ქალი,<br>ქოლგა,<br>ცარცი,<br>ცხენი, ცხვარი,<br>ციყვი,<br>ცა, ცისარტყელა,<br>ცივი, ცხელი,<br>ციგა,<br>ცელქი. | ეს არის ქოლგა. ეს დიდი ქოლგაა. ის ლამაზი ქოლგაა. ეს არის ცხენი. ეს არის ცხვარი. ცხენი დიდია. ეს აროს ციყვი. ციყვი პატარაა.<br>ცისარტყელა ძალიან ლამაზია.<br>ცა ლურჯია.<br>ეს ციგაა. ეს ჩემი ციგაა. ეს დიდი ციგაა.<br>ეს ლადოა. ლადო პატარაა. ლადო ცელქია. | |
| 15 | თანხმოვნები - ძ, წ | წყალი, წვენი,<br>მაწონი,<br>ძალიან<br>წითელი, მწვანე,<br>ყურძენი,<br>ძაღლი.<br>ძაფი. | ბაყაყი წყალში ყიყინებს.<br>წვენი ძალიან გემრიელია.<br>ეს მანქანა წითელია.<br>ფოთოლი მწვანეა.<br>ეს არის მაწონი.  მაწონი არ არის ტკბილი, მაწონი მჟავეა.<br>ეს ყურძენი ტკბილი და გემრიელია. | |

©ყველა უფლება დაცულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | გრძელი. მოკლე.<br>მსხვილი. წვრილი. | მწვანე ჟაკეტი. წითელი კაბა. ეს წითელი კაბა ლამაზია.<br>ეს არის ძაღლი. ეს დიდი ძაღლია. ეს პატარა ძაღლია. ეს ლამაზი ძაღლია.<br>ეს არის ძაფი. როგორია ეს ძაფი? - ეს ძაფი წვრილია. ეს ძაფი მსხვილია. ეს ძაფი მოკლეა. ეს ძაფი გრძელია? - არა, ძაფი მოკლეა.<br>ძილის ნებისა!.. | |
| 16 | თანხმოვნები - ჭ, ჯ | ჭიქა, საჭმელი,<br>ჭამს,<br>ბიჭი,<br>ჭურჭელი,<br>ჭიამაია,<br>ჯოხი,<br>-ზე, -ში<br>გამარჯობა.<br>ჯემი.<br>ჯამი.<br>ჯამბაზი. | ეს არის ჭიქა. ეს დიდი ჭიქაა. სად არის ჭიქა? - ჭიქა არის მაგიდაზე. ეს ჭურჭელია. სად არის ჭურჭელი? - ჭურჭელი არის კარადაში. ეს არის ჭიამაია. ეს ჭიამაია ძალიან ლამაზია. სად არის ეს ჭიამაია? - ჭიამაია არის ყვავილზე.<br>ჭიანჭველა. ჭიანჭველა ძალიან პატარაა.<br>გამარჯობა. როგორ ხარ? - გმადლობთ, კარგად. თქვენ როგორ ხართ? - დიდი მადლობა, მეც კარგად ვარ.<br>ჯემი გემრიელია.<br>ეს ჯამი წითელია.<br>ეს ჯამბაზი ძალიან სასაცილოა. | |

©ყველა უფლება დაცულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 17 | ანბანის შემდგომი საკითხავი. | | მცირე მოცულობის სიუჟეტური ტექსტები. ფონეტიკური სავარჯიშოები. | |

დამატებითი რესურსები:

1. http://geofl.ge/
2. დედას სკოლა - https://drive.google.com/.../1QWLzCMhhpNgp.../view...
3. კარგი სკოლა - http://www.kargiskola.ge/
4. კითხვის კიბე - http://www.reading.ge/
5. ქოჩე, ანბანი - https://www.youtube.com/watch?v=63gRUxBjwBs

©ყველა უფლება დაცულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი